


საბჭოთა სეროვება

ISSN

0130-0569
802-0199/82

1982

180 /
1982/3





სსრ კავშირის შექმნის 60 წელთან დაკავშირებით ეურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ იწყებს მოკმე რესპუბლიკების დრამატურგთა პიესების ბეჭდვას.

მარტი უნტი

GOOD-BYE, BABY!

ანუ ათი ბანუღრება

საქეტაქლო მონაწილეობს სამი კაცი და ერთი ქალი. როლებს ვათამაშებში მონაწილეობას მიიღებს ნებისმიერი რაოდენობის მსახიობი. ამა თუ იმ სურათის წარმოდგენისას სცენაზე უნდა ჩანდეს მისი დასათაურება პროექციის ან პლაკატის სახით.

ს უ რ ა თ ი კ ი რ ვ ა ლ ი
ს ი ბ ვ ა ს ს ხ ვ ა ა — ს ა მ მ ე ს ხ ვ ა ა...

სცენაზეა ორი მამაკაცი: ა და ბ. მთელი სურათის განმავლობაში ისინი უძრავად დგანან ან მოკმე-დებენ ისე, რომ მათ კმედებას არავითარი კავშირი არა აქვს ტექსტთან.

- ბ — მე ვარ ადამიანი
- ბ — მე ვცხოვრობ
- ბ — მე ვსუნთქავ
- ბ — მე ვარ ჭანმრთელი
- ბ — მე ვარ ჭკვიანი
- ბ — მე ვარ ლამაზი
- ბ — მე ვარ კაცი
- ბ — მე ვარ ბუნების გვირგვინი
- ბ — მე ვარ თავისუფალი
- ბ — მე ვარ მსახიობი
- ბ — მე შემოდლა დავინახო

- ბ — მე შემოდლა გავიგონო
- ბ — მე შემოდლა წავიდე
- ბ — მე შემოდლა დავარჩე
- ბ — მე შემოდლა ვიყო გენიოსი
- ბ — მე შემოდლა ვიყო ჭამბაზი
- ბ — მე შემოდლა ვიყო მომხიზველი
- ბ — მე შემოდლა ვიყო ხალხის რჩეული
- ბ — მე უფლება მაქვს ვიყო პოპულარული
- ბ — მე უფლება მაქვს ვიჩურჩალო
- ბ — მე შემოდლა ვიყვირო
- ბ — მე შემოდლა ვიმღერო
- ბ — მე შემოდლა ჩამოვყავილიბო თუნისები
- ბ — მე შემოდლა წარმოვადგინო პროგრამა
- ბ — მე შემოდლა კავაროტესტო
- ბ — მე შემოდლა გამოვიდე ჩარჩოდან
- ბ — მე შემოდლა აღვსდებ
- ბ — ო, ო, მე ყველაფერი შემოდლა
- ბ — მე შემოდლა გავშივდლდე
- ბ — მე შემოდლა მიუვარდეს
- ბ — მე შემოდლა ვიწამო ღმერთი
- ბ — მე შემოდლა ვიწამო ეშმაკი
- ბ — მე შემოდლა მოვხვდე ჭოჭობეთში
- ბ — მე შემოდლა ვიყო გმირი
- ბ — მე შემოდლა მოვიკლა თავი
- ბ — მე შემოდლა გავგიჟდე
- ბ — მე შემოდლა ვთქვა სიმართლე
- ბ — მე შემოდლა გავემგზავრო პარიზში
- ბ — მე შემოდლა თქვენ გაიბნოთ
- ბ — მე შემოდლა ვიტირო უსამართლობის გამო
- ბ — მე შემოდლა ვიგნებრმტყველო
- ბ — მე შემოდლა დავწერო წიგნი ადამიანის სულიერ საიდუმლოებათა შესახებ
- ბ — მე შემოდლა ლუკმა ვუწილალო მშიერ-მწყურვალთ
- ბ — მე შემოდლა არ ვიტირო
- ბ — მე შემოდლა ვიდრინო ცაში
- ბ — მე შემოდლა მოვხვდე მოვარტე
- ბ — მე შემოდლა გავხდე უკვდავი
- ბ — მე შემოდლა ვიყო ის, ვინც მინდა
- ბ — მე ვარ უსაზღვრო
- ბ — მე ვარ მომო საპიენს
- ბ — მე ვარ ღმერთი
- ბ — მე ვარ კოსმოსი
- ბ — მე ვარ თავისუფალი
- ბ — მე შემოდლა შემოდლა შემოდლა შემოდლა შემოდლა შემოდლა

ორივენი უძრავად სხედან. სინათლე ქრება თანდათანობით.

ს უ რ ა თ ი მ ა მ რ ა
ო ლ ი ს ხ ვ ს ი ს ბ ა ნ უ მ რ ე ბ ა ა კ ა ლ ი ფ ს ო ს თ ა ნ



ოგიგიას კუნძული, ტახტზე გაშლარებული ოდისესის
 ბოთლიდან (ან პატარა კასრიდან) ღვინოს სევამ. კალი-
 ფსო ქსოვს. შესაძლებელია ხმადაბლა მღეროდეს კი-
 დეც.

ო დ ი ს ე ვ ს ი. დაფთვე თუ არა?! საიკთხავა, აი, ეს
 არის!

(პაუზა) კალიფსო, ჰეირფასო! შვიდი წელია ერთად
 ვცხოვრობთ... შენ ეს ცოტა არ გეჯინოს! მწვი-
 დად და უღარდელად გატარებული შვიდი წე-
 ლი.. თუმცა, ეს აუცილებელიც იყო იმ მშფოთ-
 ვარე ცხოვრების შემდეგ, ტროლიც მე გადავნი-
 ტანე. სხვა თუ არაფერი, ტროსა ომის მოგაღწე-
 რად ღირს! „ილიადა“ ხომ ჩემი სახელითაა აქრე-
 ვებული... მოვეშვათ წყრილმან ეპიპოდებს — ავი-
 დოთ, თუნდაც, ტროსში ჩემი გამპრაიხობის ამ-
 ბავიო. შათოვრის [ტანსაცმელი] ყოველ ნაბიჯ-
 ზე ფთვირავი! გამუღმებული შინა ომის გამო,
 რომ სადაცა შეგვეცნობენ! დიპლომატიური ვა-
 ნდები და ჩამბაზობანი. ბოლოს და ბოლოს, მე
 და მხოლოდ მე გადავწყვიტე ტროსს გაქაანუ-
 რებული ომის ბედი. რატომ? — იმიტომ, რომ
 სწორად ამ თავში ამორაწყინდა გენიალური იდეა.
 უბრალო ზისაგან გამომჩრორნა სახელგანთქმუ-
 ლი ტროსს ცხენი, მის უზარმაზარ მუცელში რჩე-
 ული ბერძენი მეომრები ჩაემგალა და ცნობის-
 მოუკრე ტროლთათვის სახელისწერი კლენად მი-
 მერთშია ხა-ხა-ხა! კალფსო, საყვარელო, მთავ-
 რე, რომ ეს ამბავი კიდევ ერთხელ მოვიგონე.
 რა ჩემი ბრალია, თუ ყოველი მამაკაცი აღი-
 რების უნითაა შეპრობილი... აქ კი, მითუმეტეს —
 მთელ ქვეყნებობისაგან მოწყვეტილი, უკაცრიელ
 კუნძულზე შენა ხარ ერთადერთი სულერი, ვინც
 მე მომიხმენს. პო, მართლა, ყველაზე უნაური
 იცი, რა იყო? — მე ხომ ტროსს ოში მონაწილე-
 ობის მიღებას თავიდან არც ვაპირებდი, ჩოთავი-
 თერ იმპერიალისტურ ომად შესაებოდაი თანაც
 ახალდაქორწინებული ვიყავი... პო, კარგი ახლა,
 ნუ ეტვიანობ, ეს ხომ ოდესღაც იყო და საერ-
 თოდ. ის ხომ სულ სხვა დრო იყო და არავითარ
 კავშირი არა აქვს შენთან, დღევანდელ ბე-
 სთან. ერთი ხატევიო, წარსულია! იმ წელს ბიჭი
 შეგეღებინა. პატარა ოქაბის დიდი სიხარული! პო-
 და, ნადი პატიფისტი გავდი. სულაც არ ვაპი-
 რებდი ცივილიზებულ ყოფილ ხელი ამელო და...
 მხედლობიან ცხოვერებაზე ვოცნებობდი მხოლოდ და
 მხოლოდ. ის კი არა, გონებაჩლუნგობაც მოვი-
 გონე. ქარში არ წამიყვანენ-მეთქი. რა გამოვი-
 და?! — ხიმულიაიაში გამომიჭირეს და პირდაპირ
 ფრონტზე მიერეს თვით! ახლა ვერც კი ვახსენებ
 ტროსს შემდეგ მესისპათიურა ომიანობა. უთუ-
 თოდ მაშინ, პირველი აღიარება რომ ვიგევი! რა
 გასაკვირია, პირტიტველა ყმაწვილა ვიყავი, თანაც
 ბავშვობაში სულ ვეადამყოფობდი! მერე სიტ-
 ვლას თქმაშიც გავიწავლე. პალამედუს, მე შავის
 დედა ვატირი, ენეიდებოდა, თოთქოს ჩემზე უკეთ
 შეეძლო სიტყვის თქმა. აბა, რა იქნებოდაი —
 ქვეყნის ნაცნობები შეკვდა. მეც ავდექი და, ერთ
 მშვენიერ დღეს, მის კარავში მთელი ტომარა ოქ-
 რო შევაპარე. თან ხმა გავაერცელე, პალამედ

ტროაელთა გაშუშა-მეთქი. ოქრო უბოვეს და...
 შენს პალამედეს ყუღფში გაყოფინეს რა...
 ვეშვოდებია. აფერისტი იყო და მტკიცე. ხანცა
 ვედილო უნდა მოკედეს! ომი ოშია! ორატორობა
 საქებოა და მეც ვორატორობდი, სხვათაშორის,
 პალამედზე უკეთესად! ჩემი სტილი უფრო მა-
 ლაღვარდოვანი და დახვეწილი გახლდათ. როცა
 თერხიტე ბრძოლის ველიდაფ გაპარვას ლამობ-
 და, მე მას ჩავაველე და მივმართე, აი, ამგვარად:

„პო, თერხიტეც, ყაბურალო, რევენო, უბედო,
 როგორა ბედავ მხედართმთავარს პირში ეჩრები!
 არავინ არის მოკვდავთ შორის შენზე უგვანი,
 ვინც კი ილიოსს მოპყლია ღვთებრივ ატრიდს.

ნუ გაკირია პირში ყველა მეფის სახელი,
 მათს ძვირს ნუ ამბობ, გაქცევაზეც ხმა არ გაალო!
 განა ვინ იყოს, საქმე როგორ დავეთრვანდებმა,
 სიამეს მოვებით თუ სიავდა აქვევით ძენი?
 შენ აგამემნონს, ატრევის ძეს, ხალხთა მეუფეს
 გულარხინად ლანდავ, თითქოს ბევრს აძლევნო
 დანაულები მონაოვარს, გინებით იკლებ.

მაგრამ მე გეტყვი და მერწმუნე, არ გავტებ
 სიტყვას,
 თუ კვლავ ილახებუბ, როგორც ახლა, მაშინ

ყოფდე:
 თავი არ შერჩეს ძლიერ მხრებზე მამაც ოდისესს.
 დღეიდან მამაც ნუ ერქმევა ტელემაქოსის,
 ტანსაცმელს ხელით მუხისვე თუ არ შემოგაძარცვავ
 ქლიანას, ქიტონს, იმასაც, რაც სარცხვილუს

ფარავი
 და აკივლებულს არ გაგაგდებ ხომალდებისკენ
 ხალხის დასიდან, სამარცხვინოდ, შაკარად
 გაწყობილს!⁹

(კალიფსოსთან მიდის და კონის) არ გინდა? მამ, მე
 დავლევ. (გაისმის გუგური, რომელიც თანდათან ახ-
 ლოვდება)

კ ა ლ ი ფ ს ო. (ზემოთ აიხედავს) პელიკოპატერი!
 ო დ ი ს ე ვ ს ი. შიკრიტი იქნება, ცნობა თუ მოაკვს...
 პერმესო!

კ ა ლ ი ფ ს ო. პელიკოპატერი ძირს ეშვება!
 ო დ ი ს ე ვ ს ი. აკი გითხარი, ჩვენს კუნძულზე ღმე-
 რთები ახალ ცნობას აგზავნიან-მეთქი (პელიკოპ-
 ტერის ხმა თანდათან ბლიერდება და ერთბაშად
 წყდება).

პ ე რ მ ე ს ი. (შემოდის. მტვერსაწინააღმდეგო სათ-
 ვალეს იხსნის) აქა მშვიდობა!

კ ა ლ ი ფ ს ო. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს
 კუნძულზე!

პ ე რ მ ე ს ი. (ოდისესს) თვლი თუ არ შატყუვს,
 ოდისესის უნდა იყო.

ო დ ი ს ე ვ ს ი. ნუთუ ასე შევიცვალე!

პ ე რ მ ე ს ი. შვიდი წელია ცივილიზებულმა ქვეყანამ
 შენი ასავალ-დასავალი ვერ გაიგო. სად დაიქარგე?

ო დ ი ს ე ვ ს ი. სექცდავლებას ვასრულებდი... მოვი-
 არე კიონდასა და ლიტოფაგდას ქვეყნები. ერთხანს

* „ილიადა“. ძველბერძნულიდან თარგმნა რომან მი-
 მინოშვილმა.

ცალთვალა ციკლოპ პოლიფემოს ვეპვი ტუვეო-
ბაში, სხვათაშორის, ის ცალი თვლიც მუგუწლით
ამოვწანოე და ტუვეობას თავი დავადწიე. სტუმ-
რად ვიყუე ეოლიელებთან, სასლამათი გად-
აურჩი კაცქაბა ლესტროგონებს, ერთხანს უმწვე-
ნიერეს ცირცებათან დავეყოვენი... ბოლოს კი ორი-
ვე უზბღურბას გადავურჩი — სცილა და მარბ-
დას კლდეებს შორის უწენებლად გავცურე... მამს!

კ ა ლ ი ფ ს ო. (ნიშნისმოგებით) აქ ხარობს კვიპაროსი,
აღვის ზე, ფიკვი და სხვ. მინდვრებში ნიარფერი
ყუაფლი და ნოყიერი ბაღახია, თავბრუდამხვევ
სურნელებას აფრქვევენ შრომანები...

მ ე რ მ ე ს ი. დღეს შენ სამშობლო გიხმობს, ოდი-
სევს!

კ ა ლ ი ფ ს ო. სამშობლო, (ტრემლმორეული) ოდისე-
ვის სამშობლო აქ არის!

მ ე რ მ ე ს ი. მოკლედ, რაღა დავამალო და შენს სახ-
ლში დიდი არეულ-დარეულობაა! დეგენერატები
ტარაკანებვით მომრავლდნენ! თანაც ისე გათვ-
ხედდნენ, რომ შენი ურთავული ცოლის, კენელმას
საქმროგებადაც კი მოკით თავი! მო, პარტი ახლა,
დაწუნარდი, საბრალო პენელოპა ტირილში ათენებს
და აღამებს. მთელი ქვეყანა დემოკრატიზებულია.
ყოველდღე, მეტი თუ არა, თითო ნაბიჯივარი მა-
ინი იხადება... მოკლედ, შინ გელოდებიან!

ო დ ი ს ე ვ ს ი. მაინც რამდენი იქნება ის საქმროები?
მ ე რ მ ე ს ი. ასე, ორათასამდე.

ო დ ი ს ე ვ ს ი. (გააფრული წამოხტება) რას მიქარაქ!
მ ე რ მ ე ს ი. რა დროს ხუმრობაა?!

კ ა ლ ი ფ ს ო. (აწროლდება, გრძნობს, რომ ოდისესი
შალე მიატოვებს)..

ო დ ი ს ე ვ ს ი. (პაუზის შემდეგ) ოღ რაია! შინსაკენ
ნაბიჯით იარ!

მ ე რ მ ე ს ი. ყოჩაღ, ოდისევს! აბა შენ იცი, ღმერთმა
ხელი მოგამართოს! (ხელს უქნევს, მტვერსაწინა-
აღმდეგო სათვალეს იკეთებს და გაღის. ძრავის
გულუნი სულ უფრო შორიდან მოისმის)

კ ა ლ ი ფ ს ო. მე რას მიპირებ, ჩემო სიცოცხლევ?
ჩვენი სახლი? ჩვენი ოჯახი?

ო დ ი ს ე ვ ს ი. დედაკაცო, მე ჩემი სახლი მელოდ-
ბა, გესმის? ჩემი სახლი! (ისმის გრიგის „სოლვეი-
გის სიმღერა“, რომელიც მონოლოგის განმარტო-
ბაში არ წყდება)
პენელოპა მელოდება! ჩემი ცოლშვილი გახაპირ-
შია! მე კი შვიდი წელია უგზო-უკვლოდ დავებე-
ტები... ესეც არ იყოს, სუბიექტურ განცდებს არა-
ვითარი სერიოზული ღირსება არ გააჩნია. ყველა-
ფრის საფუძველი ოჯახია, მხოლოდ ოჯახი ახლა მე
ეს მწამს, როგორც არასდროს! (საიდანღაც მსუბუქ
ტუკვიამტრქვევს გამოათრევს. ამოწმებს, წმენდს,
ზეთს უსვამს და რადიკს ყვირის. აკომპანიმენტო
იკვებ „სოლვეიგის“ სიმღერა) მოი, როგორ ვნატ-
რობ იმ დღეებს, როცა დიხვს დავდგამ ჩემს მშობლი-
ურ სანაპიროზე! გჯაბნეული შვილი დავებურუნ-
დები საყვარელ კუნძულს. აი, თითქოს ვგრძნობ,
როგორ მელამუნება სახზე ჩემი სამშობლოს გრი-

ლი ნიავი. ო, რა სიხარულით ვეამბორებო მშარ-
ლურ მიწას! თუმცა, არა! პირველ რიგში უნდა
დავთრგუნო ჩემი დაუძინებელი მტერი, კუნძუ-
მენეტლობა! მერე წაიფრადებო, ცრემლმდინარე
რამებს, შევალა მოვიხმობს ჭკუა-გონებას: კვლავი-
ნდებურდად გადავიცემე მათხოვრის სამოსს. შევად-
ებ კარებს, შევალ იქ, სადაც ზეიმობს ორათასი გა-
მოთუყანებული სისძიო და გავანაღვურებ, მოვს-
პობ, გავაქრობ! მერე ღირსებულად წაივდგები ჩე-
მი პენელობას წინაშე. იგი ჩამეკრება, აქვითინ-
დება... მე მას დავუყოცნი თმებს, ლოყებს, ტუ-
ჩებს... მოი, ღმერთებო! დიდხანს ნუ გაათენებთ
იმ ჩვენს ბედნიერ დამებს. ენეც ასე, ჩემი შრო-
მის იარაღიც წყვრივშია (ტუკვიამტრქვევს პაერ-
ში გაისკრის და გამარჯვებულის იერით ილიშება.
კალფისო ტირის გულმოსკვნით. ტანსაცმელს შე-
მოიხვევს. „სოლვეიგის სიმღერა“ სულ უფრო ძლი-
ერად ქედრს).

ს უ რ ა ტ ი მ ე ს ს ა მ ე

მოსწავლე ამთავრებს სკოლას

(მოსწავლე ახარებს გამოცდის, მასწავლებელი უს-
მეწმს)

მ ო ს წ ა ვ ლ ე. ცხოვრება მატერიის მოძრაობის
ფორმაა. ადამიანი განვითარების ყველაზე მაღალ
სტადიაში მყოფი ორგანიზმია. სკოლა ის სასწავ-
ლო-აღმწარდებლობითი დაწესებულებაა, სადაც მას-
წავლებელთა დახმარებით მოსწავლეები ცოდნის
წარსო უწყებენ. „სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში გატებითდების“. თავაზიანობა, თავმ-
მდაბლობა და თავდაპყერილობა ადამიანის საუკე-
თესო თვისებებია. ალკოჰოლისტთა შვილები უმ-
რავლეს შემთხვევაში თანდაყოლილ ავადმყოფო-
ბათა მსხვერპლი ხდებიან. დედამეცა მრგვალია.
ადამიანი, რომელიც პატივს სცემს საკუთარ თავს,
ისეთ დაპირებას არ წამოაყრანტალებს, რისი შეს-
რულებაც არ ძალუძს. შესაყრებთა გადაწყველ-
ებით ჯამი არ იცვლება. პატიოსანი კაცი უწმარურ
სიტყვას არ იტყვის, უხამს საქმებს არ ჩაიდნის,
და უწომოდ არ გაიღეშება. ძილის წინ ოთახის
განიავება სასარგებლოა. დახვეწილი გემოვნების
ადაინავები სიმატობის მაძიებელი არაან და
არა სიყალბეა. რბენა, სროლა, ჭკლიმა — ერთპი-
რანი ზმენება. ვარეული ღორი შინაურის შორე-
ული წინაპარია. „რაც მოგივა, დავითაო, ყველა
შენი თავითაო“. ადამიანი მაიმუნსაცანა წარმო-
შობილი. „ქათამბა ჩიქნა. ჩიქნა და თა-
ვი დასაღვავი დამა გამოჩინაო“. შრომადა შე-
ქმნა ადამიანი, დილით პირი უნდა დავიბანოთ ცი-
ვი წყლით. ოჯახიში არაბებიბთა დასახლებული,
რომლებსაც ინდის ხურმის უზვი მოსავალი მოჰ-
ყავთ. მერხთან ისე უნდა ვიჭედო, რომ არც კუ-
ხიანს ვავადეთ და არც ხარგადაუბაულებს. ბუთმო-
ვენი გენიალური კომპოზიტორია. მსოფლმხედვე-
ლობა ძირითადად ორი სახისაა: იდეალისტური და
მატერიალისტური. დაქლომის წინ მუხლები უნდა

შეკეროთ. გერმანულ ენაზე შუქმანი ნიშნავს პოლიციელს, შვანე კი — პრუსიელს. თითო მიწისწებვა უკულტურობის ნიშანია. ორ სწორ ხაზს, რომლებიც ერთ სიბრტყეზეა განლაგებული და ერთმანეთს არ გადაკვეთენ, პარალელური ხაზები ეწოდება. ჩვენი უკიდურესი სამშობლო განთქმულია წიაღისეული სიმდიდრეებით. რკინის ატომური წონაა 56, რკინითი ნომერი 26. ისე პირდაპირწინაა არ უნდა ვიხარაობოდ. ღრძილებიც რომ გამოვჩინებდეს. უკვლავზე ლაზადა იციან ის. ვინც გულით იციან. პირველად მამაკაცი ესალმება ქალს, უმცროსი — უფროსს, ხელკვეთით — უფროსს, ბავშვი—უფროსს. ქამის წინ ხელის დაბანა აუცილებელია. მოზრდილი ყმაწვილები რომ ერთკიდეულ სიხმრებს ხედავენ, საშიში არაა. სიტყვის თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია გამოთქვას და დაიცვას საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე. ძალღატაკობა და მალაჩაში შეხვდა აგრძალებულია. „ვინც მოითმენს, ის მოიგებს“, სინათლის სხივი ვრცელდება სწორხაზოვნად. კატებს მახვილი ხმენა აქვთ. „უძალო კვეყანაში კატს აუფებდნენ“. ჩვენს კვეყანაში ქალი და კაცი თანაწორუფლებიანა მსახიობის შეცდომაზე სიცილით რეაგირება უტაქტობაა. გამოყენის დარბაზში ექსპონატებზე ხელის ხლება არაძალადია. „დედის წინ მორბენალ კვიც მგელი შეჰამო“. წიგნიდან ფურცლების ამოხევა ყოველად დაუშვებელია. სამკუთხედის გაეკ კუთხე უფროს შიდა არამოსაზრდებ კუთხედების ქამს. კურაში მოსიერენ ქალების თავით ფეხამდე თვლიერება უზრდელბობაა. ჩვენს კვეყანაში ყველაფერი ხალხის საკუთრებაა. კბილები უნდა გაეწმინდოთ დილის და საღამოს. უნდა გვიყვარდეს ჩვენი სკოლა და მასწავლებლები. ლუკმა უნდა დაიღებოს ოცდაცამეტეტი, ცეკვის სწორად წარმართვა მამაკაც პარტნიორზეა დამოკიდებული, მხოლოდ ისე, რომ ხელი არ უნდა ეხებოდეს შიშველ ზურგს. „დედაწინადა კვერცხი გერჩიოს ხვალისდედ ქათამსა“. „გულში ჩახუტებული, ერთი შვილი სჯობს, ცაში მოფარფარებ აუარებასა“. ქუჩაში კამა უკულტურობაა. გოია ქმნიდა ესანელი ხალხის გერაული ბრძოლების ამხანაგ ტილოებს. ნიუ-იორკი ხაურაღის ქალაქია. „დამდგარ წყალში მეთი ბაცილებიაო“. მგზავრის უფლება აქვს თან წარღოს 26 კგ. ბარგი. რაგინდ დაღლილიც არ უნდა იყოს, მგზობედი მგზავრის მეურნე უნდა მხარს თავს ჩამოედება ყოველად დაუშვებელია. ხმის გაზრატეხს პერიოდში ხმაძალი სიმღერა და ყვირილი საზიანია. „სადაც წახვალ, იმ ქვეუნის ქული დაიხრეო“. ტრაპედიის ფართობი უფროს აფუჭების ნახევარ ქამსა და სიმაღლის ნაზრახს. გერაიკელ ზანგთა ცხოვრება მძიმე და აუტანელია. შხამიანი სოკოების უმრავლესობა თვალში საცხად ღამაზია. ვაზამზე უავის ჩამორიგება წახვლის ნიშანია ბტუმართავის. ორი ვექტორის ქამის სიდიდე არ აღემატება ამ ვექტორების სიდადობა ქამს. შორეულ ნაცნობთა საუბრის ასაწყობად ყველაზე ხელსაყრელი თემებია კინოს, თეატრისა და მსუბუქი მრეწველობის სიახლეები. ცარიზმს ეწინა-

და განათლებული ადამიანებისა. ნიკოლოზის ნიხტრები თვლიდნენ, რომ განთლება უნდა გაცემულიყო მხოლოდ მთავრობის რეცეპტის მიხედვით და პირდაპირპროპორციულია გამტარების ძეგლებზე არსებული ძაბვისა და უკუპროპორციულია გამტარის წინააღმდეგობისა. ქალს ასაკი არ ეთიხებია. ქიის ადგილია თუ შეიდან მარტენივ. შრომა აკეთილშობილებს ადამიანს. შხამანურისათვის მადარეულია ქიქებია წიხანშეწონილი. „შიროკა სტარანა მანა რადნია“. ამერიკაში ხელოვნება თავისუფალი არაა, იგი მონოპოლისტთა ხელთაა. ხმელთაშუა ზღვაში წყალი თბილია, მის ფსკერზე წელიწადის ყოველ დროს წულის საშუალო ტემპერატურა 13°C-ია. ეტიკეტი მოიხივებს, რომ ბოთლის საცობი მოვადით სამზარეულოში. ინგლისურ ენაზე ტუის მარწყვი გამოითქმის Wild strawberry, ხოლო ველური Savage, ბავშვის გამოსაყვანად სამშობიარო სახლში მთავრის მისვლა უტაქტობაა. „კოლს მოიყვან — ინანებ, — არ მოიყვან — ინანებ“. „ასკერ გაზომე და ერთხელ გაქერიო“. უბრალოდ და ღარიბულად მოწყობილ სახლშიც შეიძლება იგრობოდეს, რომ იგი კულტურულ ხალხს ეკუთვნის. სინამდვილე ისაა, რაც რეალურად არსებობს და ვითარდება. რელიგია ოპიუმია, იგი ადამიანს აბრუებს. ორმაგი სუპერფოსფატის ფორმულა გამოისახება შემდეგნაირად:



თეატრი სინოზური ხელოვნებაა. ძალიან ძალისხორცს არ ქამს. არა კაც კლა, არ იმრუშო, არ მოიპარო.

(მუსიკა. ტუმი)

ს უ რ ა თ ი მ ა მ ო თ ხ ე

ს ბ შ მ ა რ - მ ა ს ს ი ნ ი მ ლ ი

საძინებელი ოთახი. საწოლში ნებისმიერად წამოწოლილი კოლ-ქმარი. კითხვაში კლავენ დროს. მუსიკა (ტანგო). დროგამოშვებით რაღაცას საქმიანობენ. ქმარი წამოდგება, ამოქნარება, ოთახში ბოლთას ცემს, ისევ წამოდგება. კოლ დასცქერის საკუთარ ფეხის თითებს და ა. შ. ვისმის ზარის ხმა. წყდება მუსიკა. ისევ ზარის ხმა, რომელსაც კოლ-ქმარი არაკითარ ყურადღებას არ აქცევს. შემოდის სტუმარი. ყოველგვარი უზრუნველობის გარეშე კოლ-ქმარი საწოლიდან მიდის და ცდება. სანამ ისინი მოულოდნელობისაგან გამოიკვეციან, სტუმარი იწყებს ლაპარაკს. მისი მონოლოგის პირველ ნახევარში კოლ-ქმარი დამბლდაცემულებს გვაწინ. სტუმარი ლაპარაკობს ჩქარა, სულმოუთქმელად, თავდაჭრებით.

ს ტ უ მ ა რ ი. კაცმა რომ თქვას, ჩემი ეს ვიზიტი თავისი მოულოდნელობით მართლაც უცნაურია. თანაც, გვიან დამით. ჩვეულებრივად ასე არ იქცევიან. თუმცა, ვერე რა იქნება, ერთი ხალხი გქონდა, ნეტავ ვინმე გუწევოდესო. ამას პირდაპირ თუ არა, ქვეშეცნებად მაინც ნატრობდით. აი, მეც, მიწოდდა თქვენთან მოხვლა და მოვდი. ესაა

მთავარი, თორემ მე რას ვიტყვი, ან თქვენ რას მი-
პასუხებთ, ამას რა მნიშვნელობა აქვს. რას მიქვან
სიტყვების ცარიელი ჩაბარები! მთავარი სწორედ
ეს მოულოდნელი შეხვედრაა, ეს წამერად დაშავ-
შირბეული ხილია, რომელიც, ერთი შეხედვით, შე-
იძლება ვინმეს აბსურდად მოეჩვენებოდეს. ღმერთო
ჩემო! ისედაც საშინლად განცალკევებით ვცხოვ-
რობთ.. ექნებ მსოფლიო ამიტომაც ჰგავს უშუა-
დებელ ზოოპარკს... ასანთის კოლოფისნაირ სახ-
ლებში ნებაყოფლობით გამოწყვეტულნი, თით-
ქაც დღეღამე ერთად ვართ, ერთმანეთს კი ხუ-
ლად არ ვიცნობთ. არადა, ჩვენი ერთად ყოფნაც შე-
უძლებელია, რადგან იმთავითვე არ გავცუნვს, არ
დავაკავშირებს ერთმანეთს. სწორედ აქედან იწ-
ყება გლობალური აბსურდა, სელფდესტრუქციული
ერთობისა და ა. შ. (ქმარი აღვნიშნავდი ალფოთების
პირველ ნიშნებს). ასე რომ, მთავარი მაინც შე-
ხვედრის აქტია. მე ახლა თქვენი სტუმარი ვარ
და გულითადად მოგესალმებით თქვენსავე თავსუბ-
ფარში აქა მწველობა და ბედნიერება! დამიჭერეთ,
ერთმანეთის სახელების დაწესება არცაა საჭი-
რო. მე სტუმარი მქვია, თქვენ — მასპინძელი. ეს
აა ის და ეს. გულზე ხელი დავიდეთ და მითხარით,
ჩემი მოსვლით ხომ რაღაც შეიცვალა თქვენს ცხო-
ვრებაში? მითხარით, ასე არ არის? ჩემს მოსვლა-
შივე რას აეთებდით? — არაფერს! მოწყენილი
იყავით, ერთმანეთს თვალსაც კი არ ადებდით. რა-
ტომ? — იმიტომ, რომ დიდი ხანია ერთმანეთი მოგ-
წერდათ. დროგამოშვებით სეგსუალური თინი თუ
წამოგვივლით და ისიც წამით... მეტი კი ისევ საკუ-
თარ ნივარტში იკეტებოთ... სულიერია მეგობრები
არც არასოდეს ყოფილხართ. (ქმარი წამოდგება)
თქვენი სიტყვი რომ მიხდა, ასე გულახდილად იმი-
ტომ გელაპარაკებთ, თორემ მე რა მერტვალეობად
უფლა ცრუობს, ქურდობს, მრუშობს... რას იზამ!
მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ! მე ჩემს გა-
საქირს მოგაყვებით, თქვენ თქვენი მითხარით — გუ-
ლზე მოგვეშვება. მე, მაგალითად, იმას განვიც-
ად, რომ შრომლების სიყვარულით მაინცა და მა-
ინც არ ვკვიდები. სხვათაშორის, მშვენიერი შრომ-
ლები მყავს. მინდა ისინი მთელი გულით მიე-
ვარდეს და, იცით, რა მიშლის ხელს? — ქედ-
მადლობა, ყოყლოჩინობა, გულგრილობა... უფრო
სამწუხარო ისაა, რომ ყოველთვის ამის დათრგუნ-
ვას, ალბათ, ვერც მოვასწრებ, ისე მიიცვლებიან
საწყლდები... აი, თქვენ ქალი ხართ, თქვენც გაიღ-
ვებთ რაღაც... სხვათაშორის, შემიძლია გითხარათ
კიდევ თუ რა გაელფლებით, მაგრამ ახლა... ვერქ-
ნებ, არ ღირს. თქვენ თვითონ რომ იტყოდეთ, და-
მიჭერეთ, დარდს ბევრად შეამსუბუქებდით, შეე-
ბას მოგვკრით თუნდაც იმის შეგნება, რომ შეგი-
ძლიათ ენდოთ ადამიანებს, თამამად გაუმზადოთ
თქვენი გულის ზეპირად სრულიად ისეთ უცხო-
საც კი, აი, როგორც მე ვარ.. და რაც მთავა-
რია, განთავისუფლებით აუტანელი შიშის გრძნო-
ბისაგან... დაწმუნდებით, რომ მართო არა ხართ,
რომ ირველივ არიან ადამიანები... თქვენთვის სულ-
ერთი გახდება აღსარების ადგილიც: — ტრავმა,
აფთხია, სასადილო, უნივერსიტეტი... [განთავისუ-
ფლებით ცივილიზებული ქალაქის მონობისაგან.

ოჯახშიც ყველაფერი შიშისგან და არა მარტო
უცხოებს — საკუთარ ქმარსაც კი ენდობო. თქვენ-
და გასაოცრად, ერთ მშვენიერ დღეს, შეტყვევ-
რომ იმაც ადამიანი და... (ქმარი სტუმარს მიმართავს)
მომასწავლებლად უახლოვდება და მის პირისპირ
დგება) ეს განიცხება სრულად უზარო და
ეგოისტურია. თქვენ არც კი იცით, ვინა ვარ მე,
რა მინდა ან რა შემიძლია, მიუხედავად იმისა, რომ
დღეიანს სწავლობდით, მაინც უქულო დარჩით.
უზიგურო აღმოვთბა ვერაფერს ვევატყობა.
(ქმარი სტუმარს ვარეთ გააგდებს და კარებს ჩაე-
ტავს. ისევ მუსიკა, ტანგო, ცოლ-ქმარი დასაძი-
ნებლად ემზადება. საიღო ხალაოებს იცმევენ. მე-
რე კი ღამის ნათურის შუქზე გაუნძრევლად წვა-
ნიან, ამასობაში სტუმარი ფანჯარაში თავს შემოკ-
ყოფს, ფრთხილად გადმოძრება და გაოგნებულ
ცოლ-ქმარს შორის ჯდება. მუსიკა წყდება).

ს ტ უ მ ა რ ი. პო, იმას ვამბობდი, ხად შემაწყვეტონეთ?
თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. ახლა, მუშვი-
დე სართულამდე წყალსადენ მიღს რომ მოვეყ-
ვობდი, ნათლად ვიკრძნით თუ რა სირთულეები ახ-
ლავს ჩემს კეთილშობილ მისიას. აი, თქვენ თით-
ქოს განაოლებული ხალხი ხართ, მაგრამ იმის შემ-
დედ, რაც გამაგდეთ, ერთმანეთისათვის სიტყვაც არ
გითქვამთ. ელემენტარული დასცენის გამოტანა
ვერ მოახერხეთ ვერც ჩემი მოულოდნელი ვიზი-
ტის მიზნულ გამოცანით. ვერც ვივად მომნათ-
ლეთ და ვერც ხულიგანად. ასეთი საოცარი შემთ-
ხვევის შემდეგ ერთმანეთისათვის უბრალოდ მა-
ინც გადაგებდით თქვენთან ვერ დაეაშურე კონ-
ტაქტი და, წარმომიდგინია, სხვებთან რა მომზ-
ვა. სიმართლე გიხსარა, დღე იმედებს კი ვაშუა-
რებდით... მეგონა დამეხმარებოდით, მეგონა ერ-
თად გაგანგრევდით ადამიანთა გამოთვლელ, ნეს-
ტიან კედლებს... თქვენ კი არჩენიან წამოწოლი-
ხართ და ისეთი სივრთები გაქვთ, თითქმის ვერც
მამწინედეთ. არ ვბრალდებ. დარჩებო ხართ და იმი-
ტომ მანქანებისა და სისწრაფის საუკუნემ რობო-
ტებად გაქციათ. ხადლა თქვენში ნაღვლილი ქალი
და კაცი.. ნივარტში გაღურსულ ლოკიანებს უც-
რო გახართ. მე კიდევ ტრახებლ მოგვიწოდებთ
შეიცვალოთ ცხოვრების წესი! მოდით, ისევ ადა-
მიანებად ვიქცეთ და შევიყვაროთ ერთმანეთი.
(პათეტურად) მე შენ მიყვარხარ, დედაკაცო, და
შენც. საბალო, ჩერებოთ კაცო! (ქმარი წამო-
ტეხება და სტუმარს ერთი დარტყმით ნივარტში
აგდებს. ტანგო, ქმარი ლოგინში წვევა და იძი-
ნებს. მუსიკა გრძელდება. ღამის ნათურის შუქზე გა-
ქალი ჩემად წამოდგება და იატაკზე უსულად გარ-
თხმული სტუმარისკენ მიცოცავს. სტუმარი თან-
დათან მოსულოვრდება. ქმარს სისინავს. ქალი სტუ-
მარს ეალერსება. გონს მოსული სტუმარი სატკ-
რება. მუსიკა წყდება).

ს ტ უ მ ა რ ი. ტუფილად გგონია, მე თუ გამოვეყო-
ბოთ რაზე გეშვებება. შენ ამ რვეებს ისე შეეწ-
ვიე, ჩემთან ღეღარ გაძლებ. ესეც არ იყოს, მთა-
ვარი პრობლემა მაინც გადაუჭრელი დარჩება. და-
დი აშბავი, მე თუ გამომიყვამ! ქვეყანას კიდევ ერ-
თი განქორწინებული ოჯახი შეემატება და მეტი

არაფერი. (ფანჯარისთან დგება). როგორ კამკამოებს მთვარე! რა ღამაა! რა ცივი ღამაა! ვარსკვლავები! რა მუდრობაა! რა კარგია სიცოცხლე... (ყურს მიუვლავს) რა კარგია სიცოცხლე! რა საოცარი ექვსი! ნეტავ რად უნდა ვიცხოვრო, თითქმის ცოლ-შვილიანი ვარ, მთვარე სულგამწარებელი, დანაგრული და ა. შ. რა დასამაღია, უცოლო ვარ, თავისუფალი... არც შენ მჭირდება! ეს არის და ეს. ჩემი ერთადერთი ოცნება ადამიანთა შორის სიყვარული, ნდობა და ურთიერთგაგება სუფთადეს. სამაის წლის შემდეგ წარმოუდგენლად სხვაგვარად იცხოვრებენ ადამიანები და ჩვენსაში თუ მოიხდეს, დაუნდობლად მოგვანდობენ: — ჰეი, თქვენ, რატომ არ გააკეთეთ უველოაფერი, რასაც სიყვარულმა გთხოვდათ და რისი გაკეთებაც შეეძლოთ!

ცოლი სტუმარს ფანჯრიდან გადაადგებს. განწირული ყვირილი ექვს თანხლებით. ცოლი წეხება და იძინებს. ტანგო.

ს უ რ ა ტ ი მ ე ხ უ თ ი

ქალქის მკვლელობის სირცხვილის ბრძანება

გარეგნულად განათება. მიკროფონი. მუსიკა (ბახი) ცეკვა, სტრატეგია.

ქალქი. ადამიანები იყოფიან მამრობით და მდედრობით სქესად. ქალები აჩინენ ბავშვებს. კაცები აკეთებენ ფულს. კაცი ქალზე მაღალი და ძლიერია. ქალები ცოტას ჰკაშენ. მათი კუნთების ხაერით მას შეადგენს მთელი სხეულის 1/3 კოპონტს. ქალები სისხლში ნაკლები რაოდენობის წითელი ზურთულაქვებია. კაცები რას არ ამბობენ ჩვენზე! მიწვევას ქალს უწოდებენ რეალური მოვლენა. ბეკონშია — საყვარელი, თანამგზავრი, მოვლელი. ხროზობლობა — საზოგადოებრივი, გარეული მშვიდი. ხალხური სიბრძნის მიხედვით კი ქათამი ფრინველი არაა და ქალი ადამიანი. პოეტებმა ქალს უწოდეს ყვავილი, მზე, მთვარე, ანგელოზი, მოციმციმე ვარსკვლავი, იღუმალეზა, გვირილა და ა. შ. ქმრები თავიანთ ცოლებს ეძახიან სულიკოს, ფისოს, სატანას.. ჭერ კიდევ ნიკიტე ამბობდა, რომ ყველა ქალი ისეთი გამოკანაა, რომელიც ორსულობით ამოისხნება. დროსტონეის აზრით, ქალის ყველაზე დიდი მოწოდება ერთადერთი ცოლობაა. თეორეტიკოსები კი თავის მხრივ ახეიან, რომ ქალი კაცობრიობის სიმდიდრე, ჭილღო, გახარობი, მუხა და მსაჭულაა. ჩვენს ქვეყანაში ქალი დაკავებულია თანასწორუფლებიანია. მეუღლენი ერთიან-ერთი უფლებებით სარგებლობენ ქორწინების დღეებში და მის შემდეგაც. ქალები სარგებლობენ ხმის უფლებით. ეს უფლება მათ მოიპოვეს:—ანერკიაში — 1920 წ., ინგლისში — 1928 წ., საფრანგეთში — 1916 წ., ფინეთში — 1905 წ., ნორვეგიაში — 1907 წ., დანიაში — 1915 წ., გერმანიაში — 1919 წ., რუსეთში — 1923 წ., საბერძნეთში — 1953 წ., ირანში — 1963 წ., შეტარებაში — 1971 წ. ხშირად გაიგონებთ, თითქმის ქალს აქვს

განსაკუთრებული ინტუიცია, რომ ქალი სულთმარება და მამაკაცის მფარველობა სპორტობს. რომ ქალი ცივილიზაციის თავიანთი წინამძღოლი არსებობს. ქალის ცნება დედის კულტურაზე დაკავშირებულია. იმასაც ამბობენ, თითქმის, ქალი ძალზე ემანსიპირებული იყო, თითქმის, მისი ლოგიკა უშუალოდ ემოციებიდან გამომდინარეობდა. ზიგმუნდ ფროიდმა და ოტო ვეინინგერმა თავი და ბოლო ვერ გაუგესო ქალების მიწარაფებებს. ქალს საკუთარი თავისუფლების უშინაა, იგი თავისივე ინსტიტუტების მონა-მორჩილია. ამბობენ, რომ ქალები შეტად სექსუალური არიან და ამის გამო ძლიერ მოსწონთ მამაკაცებს.

ანტიგონე, ანტელა დევისი, ათინა, უანა დარკი, ჰეკუბა, კლიტემნესტრა, ივლითი, როზა ლუსკემბურგი, ქალწული მარიაში, მატა მარი, მარია კიურო, მარია მაგალიტა, ედიტ პიაფა, კლარა ცეტკინი, მედეა, ინდირა განდე, დოლორეს იბარური, ლილია კოიდელა, ნონა გაფრინდაშვალი, ვალენტინა ტერეშკოვა, ეორე ხანდი, სარა ბერნარდი, საფო... მე ვეკვავ. თქვენ ხომ გადამხადეთ! მე თქვენ ძალიან მოგწონვართ და შეგიძლიათ მიცქირით, მარია მაგალიტა, ედიტ პიაფა, კლარა ცეტკინი, მედეა, ინდირა განდე, დოლორეს იბარური, ლილია კოიდელა, ნონა გაფრინდაშვალი, ვალენტინა ტერეშკოვა, ეორე ხანდი, სარა ბერნარდი, საფო... მე ვეკვავ. თქვენ ხომ გადამხადეთ! მე თქვენ ძალიან მოგწონვართ!

„უცხრად ვიცი სტუმართაგანმა ფანჯარას ფარდა გადააკალა და განთიადის ელვარე სხივი მწვარათ გამოიჭრა, ვით ცეცხლის ძალა, გააცხოველა და გაანათა გაწივებული გეტერას ტანი, გარინდდა ამ დროს მთელი დარბაზი, არ ზის არც ერთი სტუმართაგანს მათ წინ გეტერა იდგა, რომ სულ სხეულისათვის მიეცა გრძნობი, მწუხარე — თავის უმიზნო ბედით ამაყი თავის მიმწოდველობით.

ოქროსფერ თმებით შემობურულ შუბლს ღვთაებრიობის ანწდა ნიშანი, მზის სხივზე თითქმის ოქროსი იყო გაწივებული გეტერას ტანი. იმგვარად თეთრი, ვით მარმარილო თითქმის, ტკავდა ძლიერი მტერი, როცა იქვე მდგომმა მატკარმა ურცხვ ქალს შესძახა: „ქსანტე, შეჩერდი! ქსანტე, მაგვარად განებ სული, ომ, არ დაიჭრა, გობოვ, გვედარები! გავაუკვადავებ მე მაგ შენს სხეულს, საკუნეთა წაგიდებს ფრთები, ქარისმზლიანი შენი წარსული აღდგება, რომ კვლავ გაიღოს ხმები.“

(ქრება შექი. მოულოდნელად სინათლე ირთვება და სცენაზე ჩონჩხი)

* ავტორის რეპარკით — ნებისმიერი ლექსი, მთარგმნელის არჩევანით — გ. ტაბიძის „გეტერა“.

„მერი ცელსტან“, რომლის გემბანზეც კაცს
კუპანება არ იყო. მას შემდეგ ასეთი სენსაციები
ხულ უფრო მომარაღდა. 1945 წლის 5 დეკემბერს
ფლორიდის ნახევარკუნძულიდან აფრინდა ამე-
რიკის ხუთი სამხედრო თვითმფრინავი. შესანიშ-
ნავი დარი იდგა. ორი საათის შემდეგ თვითმფრ-
ინავებმა გადმოსცეს უცნაური სიგნალი: „ვერ ვხე-
დავთ მიწას!“ — ეს იყო და ეს. ხუთივე თვით-
მფრინავი უგზო-უწყვლოდ გაქრა! ორი საათის შემ-
დეგ დაიკარგა კიდევ ერთი თვითმფრინავი, რომე-
ლიც დაიკარგული ხუთიულის სამებრად გაუშვეს.
1947 წლის 3 ივლისს მთავრდა რაიონში დაიკარგა
ე. წ. „მფრინავი ციხე-სიმაგრე“, 1948 წლის 24
დეკემბერს კი სამხედრო თვითმფრინავი 34
მგზავრთან ერთად. 1950, 1952 წწ. დაიკარგა საბა-
რგო თვითმფრინავები, ხოლო 1956 წელს მიდ-
როთი თვითმფრინავი. მსგავს შემთხვევებს ადგილი
ქმონდა 1963, 1965 და 1968 წლებში. „ბერმუდის
სამკუთხედში“ 1968 წელს, სრულიად მშვიდ ამი-
ნდში უკვლოდ გაქრა ცხრამეტათას ტონიანი გე-
მი „ციკლოპი“. გემს არავითარი სიგნალი არ გა-
დმოუცია. აქვე დაიკარგა საკუთროს გემებიც:
1963 წ. — „მარინერ სულფურ კუნია“, 1970 წ.
— „მოდონი“, 1973 წ. „ანტა“. იყო შემთხვე-
ვები, როცა მიაგნეს სრულ წესრიგში მყოფ გე-
მებს, რომელთა შექცევებიც დაუზიანებლად
მუშაობდნენ, მაგრამ... ხალხი უკვლოდ გამქრა-
ნებო! „ბერმუდის სამკუთხედი“ ატლანტიკის ოკე-
ანეშია. რუკაზე მისი მონახვა ძალზე ადვილია: გა-
ვლეთ ხაზი ბერმუდის კუნძულებიდან ფლორიდა-
მდე, აქედან კი პუერტო-რიკომდე. აი, სწორედ
არ რაიონში შედის ახლა ჩვენი გემი.

ღმერთო, მიშველე! დაჯრე გემზე თუ გავიპარო?
აი შევედივარ! გული ჩემი შიშით ვაპო.
გემზე თუ დავარჩი, ბედისწერა განანადგურებს,
არადა, სხვა გზა აღარ ვიცი რა უნდა იყოს!
იქნებ ის ჯობდეს, გემის ფსკერი ჩემად
გამოვღრღნა,
გავიპარო და გადავურჩე ბედის დაცივას...

ვაი, საბარლო თავო ჩემო, რამე იღონე,
დედამიწაზეც მოვეწრები ფეხის გაკივას!
აქ სულერთია, მე ვერავის მივეშველები,
სჯობს ვეცადო და ორ-სამ დღეში ნაპირზე ვავაღ...
ღმერთო, ოლონდაც გამოყვანე სამშვიდობოზე
და შემოგვიცა, მონახვარში, მონახვანად წავალ!

ო, რა ავის მომასწავებელი სიმუდროვანო. ქარი
არ ქრის და მთვარეც კაშკაშებს, მაგრამ... მარტო
1945 წლიდან 1963 წლამდე ამ წყეულმა სამკუთ-
ხედმა ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა,
კანადელი და ამერიკელი მკვლევარების აზრით,
აქ ჩვენთვის უცნობი ძალები მოქმედებენ... მაგ-
ნეტობში, გამოსივება და ა. შ. იმასაც ამბობენ,
რომ გემები და თვითმფრინავები აქედან მეოთხე
განხობილებდაში ქრებიანო... ე. ი. იმ შეუღწე-
ბელი საშუაროს უზიდავო ფანჯარაც აქ უნ-
და იყოს. ადამიანებს ხომ ძალიან უჭირთ იმის
დაჭრება, რისი ახსნაც არ შეუძლიათ. მე პირა-

დად თავისუფალი ვარ და, რასაც მინდა, იმას და-
ვიჭრებ! ღმერთო, რა საშინელი სიმუდროვანო,
თოლიების ქუევილი მაინც ისმოდეს! უტყუარო
გასულ! უკვე სამის ნახევარია. ყველგან მსგავსი
მხოლოდ მებრღვაური ფხიზლობის საქმეთან. არა,
ახლავე უნდა გავიპარო! თავი დამანებეთ. მეუ-
ფა. (მეზღვალური გასურებს ოკეანეს. ვირთბა
გემიდან მიიპარება). თავი კი არ მონებრებია.
მე სიცოცხლე მინდა. შენ კი, ჩემო გემო, ახემე
გაქინა, მუთონებ განხობილებდაში ვაჭრინარებუ-
ლხარ! იქიდან კი ჭერ არავინ დაბრუნებულა.

(ვირთბა ოკეანეში გადახტება. მუსიკა, მებრღვაური
ფხიზლობის საქმეთან.)

ს უ რ ა თ ი მ ე რ ვ ე

მსახიობი გონს პარაბზს

კარავი. ოლოფერნი და მსახიობი. მსახიობი ახალ-
გახრდა ვაეია. იგი კარავის შუაგულში დგას.
ოლოფერნი დღიანხვა წამოწოლოლი.

ო ლ ო ფ ე რ ნ ი. წარმადგინის ხელოვნება ყალ-
ბია. შობებულებებს მხოლოდ განდის ხე-
ლოვნება ქმნის. ივლით რომ შემოვა, შენ
კი არ უნდა ითამაშო — მართლა უნდა იქცე
ოლოფერნად. ე. ი. შენ, მსახიობი, უნდა იქ-
ცე იმად, ვინცა ვარ მე. რაც შეიძლება სრუ-
ლად უნდა წარმოაჩინო იმ სისარულის, სედე-
ის, წამებისა და გრძნობა-გონების კვიდლის სამ-
ყარო, რისგანაც შედგება ჩემი — ასარიელი
მხედრობისთვის როლი. იხიე უნდა იცოდე, რომ
ივლით შედარებული გრძნობებით ვეღარ მოა-
ტუებ. მასზე ზემოქმედება მხოლოდ ნამდვი-
ლი, ხალხის გრძნობებით შეიძლება. შენ უნ-
და იქცე ნამდვილ ოლოფერნად... დამწყები მსა-
ხიობი ხარ?

მ ს ა ხ ი ო ბ ი. დიას.

ო ლ ო ფ ე რ ნ ი. დღემდე თუ გითამაშია რამე?
(პაუზა) ალბათ, უსიტყვო როლები, არა? არ არ-
სებობს დიდი და პატარა როლი, არსებობს... თუ
ჭერ საერთოდ არაფერი არ გითამაშია (მსახიო-
ბი თავს უქნევს) ე. ი. პარადპირ სტუდიიდან
მოხვედი, არა? (მსახიობი თავს უქნევს), მაშ,
სწორედ ამ როლით იწყება შენი თეატრალური
ისტორია! შენ გელოდება... (პაუზა) კარგი, მოვ-
რჩეთ ამზე დამარაკს. აი ტექსტი, გამომართვი!
(წამოვდება. მსახიობს თავის ადგილს ეტოვებს)
მე ვიქნები ივლით, შენ კი ოლოფერნი, ე. ი.
— მე. პირველ რიგში გაითვალისწინე ატომსფე-
რონ, წინაპრობა: დარე. (დაჯდომ-დაქანცული
ადიანზე წევხარ და ისვენებ, მაგრამ ვაი ასეთ
დასვენებას — შავნელი ფიქრები გაწვალბენ,
რადგან პეტლიის ალყაში ხარ შექცეული. გან-
წყობილება, რა თქმა უნდა, პესიმისტურია. წი-
წინათგრძნობა კარგ არაფერს ვაქალის, არადა,
ახლა სახლში უოფნას არაფერი გირჩენია. ერ-
თი სიტყვით, ოქაზი გენატრება, მაგრამ მთავა-
რი არც ენა. მთავარია წამოცანა! ზე: წიაცანა —



გამარჯვება, გამარჯვება და მხოლოდ გამარჯვება! აი, რა არის შთავარი. მოვეშაოდეთ! ამაზრუნვადი მშვიდი ღამეა. ბნელა. ბანაკ სძინავს. კოცონი ნელ-ნელა ქრება და კედლებზე მაგიური შექრალილი ლიციციებს. მოულოდნელად გაიხმის ძაღლების ყეფა. პაუზა, ირჩევა ფარდა და კარავში შემოვიღვარ მე, ე. ი. ივლითი. შენი დაძაბული ყურადღება მთლიანად შემოსასვლელისაკენა მიმართული.

მსახიობი. ვინ არის?!
ოლოფერნი. ქალი მთიდან.
მსახიობი. ქალიო?! აქ რამ მოგიყვანა, დედაკაციო!

ოლოფერნი. შენი ნახვის სურვილმა, ოლოფერნი!
მსახიობი. ალყაშემორტყმულ ქალაქიდან გამოიარე!

ოლოფერნი. დიახ.
მსახიობი. (ტახტიდან წამოხტება).

ოლოფერნი. სდექ! ადრეა. ასე ჩქარა ვერ მოასწრებდი რეაგირებას. უფრო მიგდე, მაკედურად მშვიდი ღამეა-მეთქი, გუებუნები. ჩადოქრული ღამით მონუსხული ხარ — ეს ერთი. მოულოდნელად კარავის შემოსასვლელში, ფარდის იქით ამჩნევ სიღუფტს — ეს ორი. გეგმის ქალის ხაზო ხმა — ეს სამი. გაოცებული თვალსა და ყურს არ უჩერებ — ეს ოთხი. დაქეპი შენს ადგილზე. ვაგრძელებთ უკანანგელი რეპლიკიდან. დავიწყობ!

მსახიობი. ალყაშემორტყმულ ქალაქიდან გამოიარე!

ოლოფერნი. დიახ, ოლოფერნი.

მსახიობი. შენით მოდი თუ ხალხმა გამოგვკვანა?

ოლოფერნი. ტექსტს ნუ ამხინებ!

მსახიობი. შენი ნებით მებაეულ, თუ?...

ოლოფერნი. დიახ, ჩემი ნებით!

მსახიობი. დღემდე ასე ახლოს არც ერთი პეტრულიელი ქალი არ მიხილავს, მხოლოდ მათი აჩრდილებიხთვის თუ მომიკრავს თვალი ქალაქის კედლებზე... რისთვის? ჩოსულხარ, დედაკაციო? (ოლოფერნის ნიშანზე მსახიობი წამოდგება და უფრო მკვხედ) რისთვის მოსულხარ-მეთქი, დედაკაციო!

ოლოფერნი. რომ შენთვის მემცნო კარგი ამბავი.

მსახიობი. მაშ, შენ ყოფილხარ პირველი ქალი, ვინც მე რამე უნდა მითხრას საინტერესო...

ოლოფერნი. ახლა ქვეტექსტს უნდა ჩაეჭიკო, გესმის? ქვეტექსტია შთავარი! „პირველი ქალი“, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ერთ დროს ქალებით ყოფილა განებობებული. აქედან იწყება სრულიად ახალი და მოულოდნელი რამ. ოლოფერნი თანდათან გრძნობს ივლითის ქალს. მიხვდა? ამ ერთი ფრაზით უნდა აგრძნობინო მას მთელი შენი ვაქაციობა. აბა, მიდი!

მსახიობი. მაშ, შენ ყოფილხარ პირველი ქალი... ვინაც მე რამე უნდა მითხრას საინტერესო...

ოლოფერნი. მერე?

მსახიობი. მერე თქვენი ტექსტია.
ოლოფერნი. ჩემი ტექსტია?

მსახიობი. არა, თქვენი კი არა, ივლითის, კიევის, ლეონტი მთელი ტექსტია!
ოლოფერნი. აქ მო, ძვირფასო, ჩამომხედე! შენც მსახიობი ხლებზე, მე ჩემმა ვნებამ მომიყვანა შენთან, ოლოფერნი! (გამოდის როლიდან) რაო, რაო? გესმის, რა გითხრა?! შეფასების მომენტი! (სხეუ ივლითის როლიში) მე ჩემმა ვნებამ მომიყვანა შენთან, ოლოფერნი!

მსახიობი. ჩემი აზრით, ეს რეპლიკა ძალზე ნაქარავია.

ოლოფერნი. კეთილი, ცოტა შევაშოკლოთ (როლიში) ვნებამ მომიყვანა!

მსახიობი. ხაინ-ტე-რე-ხოსა!.. (ოლოფერნის ნიშანზე მსახიობი წამოდგება და წელზე ხელს მოხვევს)

ოლოფერნი. (თავს გაინთავისუფლებს) უფრო ვნებანად უნდა მოგხვიო. ერთბაშად, გაგებულდა... აი ასე. (უჩვენებს) ამას რეპეტიციები არ სჭირდება, როცა გულის ჩაიკრავ ამბობ... აი, ტექსტი. შენ თვითონ ივარჯიშე, აბა, ხმაშალა წაიკითხე! (უკან იხევს და ჩემოდანში ბარჯვს ალაგებს. ჩააწყობს მუნდირს, ორდენებს, ხმალს, რევოლვერს, ფულის დასტოს, ხევის რაღაც ქალაღლებს, დაიხედავს საათზე. აგრძელებს ნეთვისის ჩალაგებას).

მსახიობი. (ავანსენაზე კითხულობს ტექსტს ხმაშალა, მონდომებით, დამაჩერებლად). დიდი ხანია ჩემთვის ასე არავის უთქვამს „მე ჩემმა ვნებამ მომიყვანა შენთან, ოლოფერნი!“ ო, რომ იცოდე, რაიგ ძნელია ჯარისკაციული ცხოვრება ჩემი! უშილობა, განგაში, ზარბაზნების გრიალი... დმერთო, როგორ გადაეჩრევი ქალებს! სადაა ქალების დრო, როცა ირგვილე ომი და ქვეყნის ბედი წუდება. ო, რა ძალუმაღ ვიგრძენ მე ახლა შენი სხეულის თრთოლვა და სიბოზ... (პაუზა) დავამთავრებ შემდეგ?

ოლოფერნი. (ჩემოდანს ეტყვის) რა შემდეგ?

მსახიობი. ტექსტი დავამთავრე, ახლა რა ვქნა?

ოლოფერნი. ახლა იმპროვიზაციაა საქირო.

მსახიობი. როგორ გგონიათ, შეეძლებ?

ოლოფერნი. ეს არც ისე ძნელია საქმეა (საათზე დაიხედავს) ვინც როლს კარგად ფლობს, ასეთი წვრილმანი მისთვის დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. ახლა კი უნდა დაგტოვო, მსობილო. (მოსასხამს მოიხდის და მსახიობს მოახუტავს). ესეც ახე. (პაუზა) მეტი გაცდაა საქირო, ყუწვილო, მეტი დამაჩერებლობა... (მსახიობს მიუახლოვდება. ლოყაზე ხელს მოუთათუნებს, ჩემოდანს იღებს და სასწრაფოდ გადის).

მსახიობი. (საქის წინ დგება. მოსასხამს ისწორებს) ნეტავ რას იტყვიან ჩემი პედაგოგები და რეფისორები... (მსახიობს შეუძლია კონკრეტულად ჩამოთვალოს მათი გვარები, პაუზა). მე ვარ ოლოფერნი. მშვიდი ღამეა, ბანაკ სძინავს. კოცონი ნელ-ნელა ქრება. მოულოდნელად გაისმის ძაღლების ყეფა... (და მართლაც გაისმის ძაღლების ყეფა).

პარსიფალი ბოჰემს მოგაღომაჲულ სასხლეს

ჩინიღ პარსიფალი მდიღრული ფარდის წინ დგება. უურს მიუგდებს. სიხუშეა. მოულოდნელად, თითქოს რალადე უბიზგაო, ფარდას სწრაფად გადასწევს და გამონდება სამეფო ტახტი. დარბაზი სულ ერთიანად ობობას ქსელშია გახვეული. სამეფო ტახტზე ზის დეარლომილი მეფე, თეთრი, იატყამედ დაფენილი წვეკრი. მოხუცი ძვირფას, შავ სამოსშია გამოწყობილი. თავზე ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქრის გვირგვინი ადგას. პარსიფალი მიხვდება, რომ მის წინაშე მეფეა, წამით შეკრთება და სასწრაფოდ მუხლს მოიყრას.

მეფე. (ჩაბრინწული ხმით) კეთილო მგზავრო, მომტყვე მოხუც მეფეს, რამეთუ არ ძალმიძს წარმოვდგე და იხე მივიღო. რა ჩემი ბრაღია, თუ დავებრდი და დავჩაჩანადი. სხეულსაც ვეღარ ვიმორჩილებ... მე ავად ვარ, კეთილო მგზავრო.

პარსიფალი. (ყვარაც მუხლმოყრილი) გულთან ნუ მოიტანო, მეფევ ბატონო.

მეფე. მომიახლოვდი. აგერ, ჩემს ფეხებთან ჩამოქეცი.

პარსიფალი. (უმაღ ფეხებთან ქდება)

მეფე. საიდან მოდიხარ?

პარსიფალი. შორი გზიდან, თქვენო ბრწყინავაღბავ! დილიდან გზაში ვარ.

მეფე. საით გაგიწევია?

პარსიფალი. სამშობლოში, მეფევ ბატონო, მოხუცი დედის სანახავად. თუ ნებას დამრთავო, ღამეს თქვენს სასახლეში გავათევდი.

მეფე. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. კეთილო მგზავრო! (წამოდგომას ღამის) ო-ო-ო!

პარსიფალი. დღობს გულისათვის, ნუ შეწუხდებით, თავს ძალას ნუ დაატანო...

მეფე. ვმადლობო, ვმადლობო... ძილი ნებისა! (ტახტზე მიესვენება და თვალებს მილულავს).

პარსიფალი. (ერთხანს თვალს არ აცილებს. გადის ფარდის უკან).

(პაუზა)

მეფე. პეი, სტუმარო!

პარსიფალი. (ფარდას გადასწევს და ზღურბლებზე გადმოდგება)

მეფე. კეთილო სტუმარო, უმღურებისათვის ხომ არ დამცინე? მითხარი, მითხარი, გეთყუა, თორემ მთელი ღამე ვეღარ მოვისვენებ. ხომ გაგიგონია— ვიხაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, ღმერთმა ჩემი სიხერციე არ ანახოსო!.. ახლა იმის იმედითა და ვსულდგმულობო, რომ საცაა გაწაფუხი მოვა, ძალას შემეძებებს... ფანჯარასთან მისვლას შემადღებინებს. ისევე ვიხილავ ბუნების გაღვიძებას, შეებას მომგარს ფრინველთა გაღობა... ჩასაც გეუბნები, ხომ გყვარა, სტუმარო? მითხარი, თორემ ვერ მოვახვენებ, ძილი გამიტყდება...

პარსიფალი. დიხ. მჭერა, თქვენო ბრწყინავაღბავ! (ადგილიდან ფეხს არ იცვლის, მეფის ჩაძინებას ელოდება. შემდეგ ფარდის უკან გადის, ხმაღს შეისინის და იქვე, იატაკზე მიწვება).

მთვარიანი ღამეა. მუსიკა. სცენის სიღრმეში წითელი სხივი. სამკლოვიარო პროცესია. წინ მოკვით ორი საწითელი, შავი ღროშა, ცოტა უკან შავი თასი და

რალაც გრძელი სავანი, რომელიც ასევე მუხლმოყრილია გახვეული. მუსიკა სულ უფრო ძლიერდება. გაოცებული პარსიფალის შორიხლო პროცესია 'მღერის მსახურის' კა წყდება. პარსიფალი დაბნეულია. ადგილიდან მოქმედოს. ბოლოს პროცესიას მიუღლოვდება. მაგრამ მას არავითარ ურადლებას არ აქცევს. შავ ზეწარში გახვეულ სავანს დაყინებით მიჩერდება, ზეწარის გადახდას კი ვერ ბუდავს. შავ თასში ხელს ჩაყვებს. შეძრწუნდება—ხელის მტვერანი სისხლითა აქვს გათხერლი. დაძაბული ურადლებით ათვალერებს თავის ხელს. პროცესია დიდრება და მარცხნივ მიემართება. სინათლე ქრება. მუსიკა წყუდება. პარსიფალი კუთხეში მიდგება და ტამბურის იმანს ხელებს, რეკავს საათი. თენდება. ისევე საათის ხმა. პარსიფალი თავზარდაცემულია. უეცარი ყვირილი შორიდან. რეტედასხმული პარსიფალი ფარდის უკან იმალება.

პარსიფალი. (ჩურჩულით) ჩუ... ხალხი? ჩუ... ვინა ხართ? (პაუზა) ვინ არის მანდ? (ყვირის) პეი მსახურნო! (უურს მიუგდებს. გულის გამჭვრილვებული მღერმარებაა. ხელებში თაფმარჯული იატაკზე წდება).

ფარდა გადაიწვევა და შემოდის გოჯანა. ტრის. პარსიფალი მას შეამჩნევს) სხეები საღდა არიან?

გოგონა. ვინ სხეები?

პარსიფალი. ვინ და მსახური! დაცვა! დარაქი! მეფე საღდა, მეფე! (პაუზა) შენ რალა გატორებ?

გოგონა. როგორ თუ რა მატორებს!.. (იატაკზე დაემხობა და უფრო გულამოსკენით აქვითინდება) უზედურ დღეს ვარ გაჩენილი და ის მატორებს... დაიქვს ჩემი გაჩენის საათი!.. ჩემი ხაბრლო საქმრო... მოკვდა. გათავდა...

პარსიფალი. საქმრო? მოკვდა თუ მოგავლეს? ვინ მოკვდა?

გოგონა. რა ვიცი, ვინ მოკვდა... ან კი საიდან უნდა ვიცოდე! — ისეთი დრო დღდა, ძმა ძმას აღარ ინდობს და მამა — შვილს. ყველა ერთმანეთს ხოცავს! ამ რამდენიმე საათში მთელი ქვეყანა გაპარტახდა, სისხლით გაიხსო... შენ მგზავრი ხარ და რა იცა... გადაიწვა სოფლები. გაჩანაგდა მინდვრები, ორგველი კაცის ქუანება აღარაა! თავზარდაცემული, გამხეცებული პირუტყვის ბლავილისგან ღამის ყურთასმენა დამხმოს, შენ რამ დავამშვავა, ადამიანო! რა სასწაულით გადურჩი წუხანდელ დამეჩ? სად იმაღებოდი!

პარსიფალი. სიმართლე გიხობრა, თავს უზე'ხულად ვგრძნობო, რომ... ეს რა უზედურობა დატრიალებულა, ღმერთო ჩემო... დამე აქ გავათიე, მეფის სასახლეში... მეც არანაკლებ უცნაური ამბები გადამხდა თავს...

გოგონა. უცნაური...

პარსიფალი. დიხ, მეტად უცნაური რამ ვახილდე...

გოგონა. (აღუღებელი) შენ დამახებ როგორ მამქონდაო ორი საწითელი?!

პარსიფალი. პო. დაიწინაქ.

გოგონა. და არ იციხე, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?!

პარსიფალი. ა, არ, არ მაკითხავს.

გოგონა. ნუთო ერთი სიტყუაც არ დავცდენია!

პარსიფალი. არც ერთი სიტყვა.
 გოგონა. რატომ?
 პარსიფალი. შეგონა ასე იყო საჭირო...
 გოგონა. „ასე იყო საჭირო!“ შევ ზეწარში გახვეუ-
 ლი ხმალი დაინახე?
 პარსიფალი. დავინახე, მაგრამ ხმალი თუ იყო,
 არ ვიცოდი.
 გოგონა. ნუთუ არ დაინტერესდი, რა იყო შევ ზე-
 წარში...

პარსიფალი. ვიფიქრე, რახან შეხვეულია...
 გოგონა. „რახან შეხვეულია!“ შევი თახვი დაინა-
 ხე?

პარსიფალი. კი, დავინახე.
 გოგონა. შიგ თუ იცი რა იყო?
 პარსიფალი. ვიცი. სისხლით იყო სავსე.

გოგონა. მერე, არ იკითხე ვისი სისხლია?
 პარსიფალი. არ მიკითხავს.
 გოგონა. ესე იგი, სისხლი დაინახე და არ დაინტე-
 რესდი ვისი სისხლია, საით მიაქვთ, რა ხდება, რას
 ნიშნავს ყოველივე ეს!

პარსიფალი. (მხრებს აჩქინავს).
 გოგონა. შენ თვითონ ვინ ხარ, ან საით მიდიხარ?
 პარსიფალი. პარსიფალი ვარ, სამშობლოში მივე-
 მგზავრები. მოხუცი დედის სანახავად.

გოგონა. შენი სახელია უბედურება და დედაშენი
 მკვდარია!

პარსიფალი. შენ ეგ საიდან იცი?
 გოგონა. უბედურება გქვია იმიტომ, რომ ამდენი
 რამე ნახე და არაფერი არ იკაწიხე! რომ გეკით-
 ხა, იქნებ ჩვენი ქვეყანა გადარჩენილიყო... და
 ჩვენი მეფე, ჩვენი პარალიზებული მეფეც ფეხ-
 ზე დამდგარიყო! იქ კარგად ვიცნობ ამ სახალხეს.

აქ მომხვედლეთ უამრავ რამეს აჩვენებენ იმ იმე-
 დით, რომ ისინი ერთ მშვენიერ დღეს იკითხავენ
 რაშია საქმე, რატომაა ეს ასე და არა ისე, რო-
 გორც უნდა იყოს... მაგრამ უმრავლესობა შენ-
 სავით იქცევა... ყველა თავის ტყავს უფრობილ-
 დება და ჩვენი საქმეც სულ უფრო უქულმა მი-
 დის. შარშან, გაზაფხულზე აქ ერთმა უცნობმა
 გაიარა, იმანაც არაფერი იცოხა და ჩვენი მუხე
 უარესად დაუძლურდა, გაწუდა საქონელი, წახდა
 მოსავალი.. ახლა აგერ შენ გამოიარე და არც შენ
 გიკითხავს არაფერი! იმიტომ, რაც ამ დილით თავს
 დაგვატყდა, შენი ბრალია! შენი ბრალია! შენი ბრა-
 ლია ჩვენ დავრჩით მეფისა და მიწის ვარემე!

გოგონა ხელის ერთი მოსმით ფარდას გადასწევს
 ტახტზე ზის ჩონჩხი. ირგვლივ ობობას ქსელია. ქრება
 სინათლე. მუსიკა (სასურველია შევა საუკუნეებისა)

ს უ რ ა ტ ი მ ე ა ტ ი

1973 წ. პირაბულად მოკალეს ხალვადორი
 ალინდო

პრეზიდენტის უკანასკნელი სიტყვა რადიოთი 1973 წლის
 11 სექტემბერს 9 საათსა და 20 წუთზე.
 რამდენიმე წუთის განმავლობაში ხალვადორე ალი-

ნდეს ხმა ჩაწერილი მანქანითონ...
 გაც მსახიობი კითხულობს პრეზიდენტის სიტყვებს:

„...ეს ალბათ, ჩემი უკანასკნელი გამოცემაა...
 წინაშე. სამხედრო-სამარცო ძალებმა დაიპყრეს რადიო-
 სადგურები „პორტალინი“ და „კორპარასიონი“, რაც
 ძალზე დასანანია. მაგრამ, დღე, ჩემი გამოსვლა მორა-
 ლურ დასჭერდა მიწვლის მათ, ვინც გატყვევდა წმინდათა-
 წმიდა ფიცი ქარისკაცისა. ასეთებია: ადმირალი მერა-
 ნო, რომელმაც თვითნებურად დაინიშნა თავი ფლო-
 ტის მეთაურად! ესნარ მენდოსა — მამლუაწინა გენე-
 რალა, რომელიც გუშინ ერთგულებას გვეფიცებოდა,
 დაღეს კი ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულ კარბინერთა
 მეთაურად მოგვევლინა!

დღეს, დალატის ალყაში მოქცეულმა, ჩემი ქვეყნის
 მშრომლებს შემიძლია გითხრათ მხოლოდ ეწინა რამე:
 ხანამ პირში სული მიდგას, არ დავენებდები! ისტორიის
 ამ ბედურულმართ გზაჯვარედინზე მზადა ვარ ხაცოცხლე
 შევწირო იმ ნდობის გამოართლებას, რომელიც თქვენ
 ჩემმა ხალხმა გამოიხიზადეთ! მტკიცედ მწამს — არა-
 ვის და არაფერს არ შეუძლია მოსპოს ის კეთილი თე-
 ლის, რომელიც ჩვენ ათასობით ჩიღულ მშრომელთა შე-
 გნებაში გადავიყვით!

მართალია, დღეს ძალაუფლება ხელთ ივდეს მოლა-
 ლატე გამყიდველებმა, მათ შეუძლიათ დროებით დაგე-
 ჯანონს იკეთა, ნაგრავ სოციალური პარტიული შეტე-
 რება არავითარ ძალადობას, არავითარ ვერაგობას არ
 შეუძლია. ისტორია ხალხის ხელთაა! ისტორიას ხალ-
 ხი ქმნის!

ჩემი სამშობლოს მშრომლებო! დიდი მადლობა იმ
 ერთგულებისთვის, რომელსაც თქვენ ყოველ ნაბიჯზე
 ავლენდით! ნდობისთვის, რომელიც გამოიჩინეთ იმ
 ადამიანის მიმართ, თქვენი სამართლიანი და კანონიერი
 მიზანსწრაფვის გამომხატველი რომ იყო მუდამ! მან
 თქვენს წინაშე დაღო ფიცი პატავი უცა კანონისა და
 კონსტიტუციისათვის და ეს ფიცი არასოდეს გაუტე-
 ხია!

ამ გადაწყვეტე მომენტში ვსარგებლობ უკანასკნე-
 ლი შესაძლებლობით და მოგწოდებთ — დღე, დღევან-
 დელი ტრაგედია დარჩეს ისტორიულ გაკვეთილად!
 პირველ რიგში მინდა შევმართო ჩვენი სამშობ-
 ლოს უბრალო, მშრომელ ქალს, ჩიღულ დედას, რო-
 მიელიც თვდაუზოგავად შრომობდა, რადგან იცოდა,
 რომ მთავრობა ზრუნავს არ მოაკლეს მის შვილებს.

მე მივმართავ პარტიუმებს, რომლებიც, მოლაღატე
 პროფკავშირელთა გამუდმებული საპოტაქის მიუხედა-
 ვად, ქედმოხურებულად აგრძობებდნენ თავიანთ კეთილ-
 შობილურ საქმეს!

მე მივმართავ ჩიღულ ახალგაზრდობას. მათ, ვინც
 ძალხა და ენეზგაბას არ იშურებდა [და არც მომავა-
 ლში დაიშურებს მშობელი ხალხის საკეთაღდღეოდ!

მე მივმართავ ჩიღულ ხალხს! მუშას, ინტელიგენტს,
 გლეხს! მივმართავ მათ, ვისაც დევნიოთ და რეპრესაბიით
 გააწამებენ, რადგან გადაითივლები დიდი ხანია ფაშის-
 მის გამოჩეკვას ღამობენ. ამის ნიშანია ტერორისტთა
 რაუდისხმები, ხიდეზის აფეთქება, ნაჯთობისა და გაზის
 მიღების დაზიანება, იმათი მიუტყვებელი დუშალი, ვი-
 საც ყოველივე ამის წინააღმდეგ ხმა უნდა აღძვალდე-
 ბინა.. ისტორია იყოს ჩვენი მზაქული!

სულ მალე, ალბათ, რადიოსადგურ „მანაიანესსაც“

დაადამებენ და ჩემი ხმა თქვენამდე ვერ მოაღწევს, მიუხედავად ამისა, ჩემი ხმა ყველას მიწვდება! შე მუდამ თქვენთან ერთად ვიქნები მომიგონებენ, როგორც ღირსეულ, მტკიცე და პატიოსან მოქალაქეს.

ხალხმა თავი უნდა დაიცავს, მაგრამ არ უნდა შეეწიროს. ხალხმა არ უნდა დაუშვას საკუთარი თავის განადგურება, მაგრამ დამცირებაც არ უნდა მოითმინოს!

ჩემი სამშობლოს მშრომელებმა! შე მტკიცედ მწამს ჩიღელი ხალხის ბედნიერი მომავალი! მწამს, რომ თქვენ, ჩიღეს გმირი ხალხი, შეუდრეკლად გადაიტანთ ამ შევბენელსა და მწარე დროს, მოიგერიებთ მოღალატეებს, რომლებიც ძალუფლების ხელში ჩაასაგდებად არაფერზე არ იხევენ უკან. გწამდეთ! შორს არაა ის დღე, როცა ისევ გაიხსნება ფართო და ნათელი გზა, რომელზეც ამჟამად გაივლის თავისუფალი, უკლეისი ცხოველების მშენებელი ადამიანი.

გაუმარჯოს ჩიღეს! გაუმარჯოს ჩიღეს მშრომელ ხალხს!

ესაა ჩემი უანასქნელი სიტყვები. ღრმად მწამს, რომ ჩემი თავდაწირვა ამაოდ არ ჩაივლის. დე, ეს იყოს შორალური სასჯელი ვერაგობისა, გამყიდველობისა, ღარრობისა!

კოლუმბიელი მწარალი ბაბრნილ ბარსია მარკსი:

...გადამწყვეტი ბრძოლის მომენტში, მაშინ, როდესაც ჩიღეს გმირი ხალხი გამხეცებული პუტჩისტების იარაღებში გმინავდა, სალვადორე ალიენდემ მედგრად განაგრძობდა კანონისა და სამართლიანობის დაცვას... პრეზიდენტის ცხოვრებაში ყველაზე საოცარი ის იყო, რომ დაბადებიდანვე წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ძალადობისა და, ამასთანავე, გახლდათ მგზნებარე რევოლუციონერი. მან ძალზე გვიან შეიძინა ის გამოცდილება, რომ მთავრობა, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი ძალუფლება, სისტემის ვერ შეცვლის და ვერც დაიცავს. მაგრამ სწორედ ამ დაგვიანებულ გამოცდილებაშია საძებარი ის ძალა და ნებისყოფა, რომელმაც შეაძლებინა სიკვდილამდე ებრძოლა ნანგრევებად ქცეულ სახელში. ეს სახლი ერთ დროს ვიღაც იტალიელ არქიტექტორს აუშენებია და ახლა პრეზიდენტის ერთადერთი თავშესაფრად ქცეულიყო. ექვსი საათის განმავლობაში ისრთდა იგი ფილელ კასტროს მიერ ჩაშტურა ავტომატიდან. სხვათაშორის, ეს იყო ერთადერთი იარაღი, რომლისგანაც სალვადორე ალიენდეს ოდესმე გაუსროლია.

დაახლოებით დღის ორ საათზე, დივიზიის გენერალმა პალაციოსმა, კაპიტან-ადელტანტმა გლარდომ და რამდენიმე ოფიცერმა მოახერხეს მეორე სართულზე შეჭრილობა. აქ, ლუდოვიკო მეთოთმეტესდროინდელ საგარძელოა, ჩინურ საუვაილოთა და წითელ დარბაზში გამოფენილ რუგენდასის ნახატებს შორის, წარბშეუხერხლად იდგა და მთ ელოდა სალვადორე ალიენდეს, თავზე მაღაროელის ჩაქჩანით, უბრალო პერანგისამაბრა, თავით-ფეხამდე სისხლში გათხერილი, ავტომატმომარჯვებელი პრეზიდენტი. სალვადორე ალიენდემ, როგორც კი ზღერბლზე გადმოშდგარი პალაციოსი და მისი დამქმშები შენიშნა, განრისხებით შესძახა, „მოღალატე!“ და ხელში დაჭრა იგი. სწორედ ამ უთანასწორო ბრძოლაში მოკლეს პრეზიდენტი, რის შემდეგაც გამხეცებულმა ოფიცრებმა საითთაოდ, ჩინ-მედლები და

რიგის მიხედვით ავტომატის ყვრი და, ხალხს მის გაქმს, ბოლოს, ვიღაც უნტერ-ოფიცერმა ავტომატის კუსკახი ჩასცა და საშინლად დასასხირა სალვადორე ალიენდეს ნათელი სახე.

პრაზიდენტის ძმრნივი ორბანსია ბუსი დე ალიენდე:

...თვითმფრინავში შევედი თუ არა, კუბო დავინახე და... მხოლოდ ახლა დავრწმუნდი, რომ ჩემი ძმარის მკვდარია. გაპცილებულს ვთხოვე უანასქნელად ეჩვენებინათ მისი ცხედარი. უარს მითხრეს, იმ მიზეზით, რომ კუბო შევედილი იყო. დიდი ხნის მუდარის შემდეგ კუბოს თავი აახადეს და მე მხოლოდ ზეწრის დანახვა მოვასწარი.

დასაფლავების დღეს, მის საფლავში ყვავილებს თან ჩავატარე მწარე სიტყვები: „აქ ვტობთ ჩიღეს რეპუბლიკის პრეზიდენტს, სალვადორე ალიენდეს, ვისი დატირების უფლება მის ოჯახსაც კი არ მისცეს...“

სალვადორე ალიენდეს სიტყვის დროს სკენაზე უნდა ეციღოს მისი პორტრეტი.

გამრიელ გარსია მარკსის ტექსტის კითხვისას შესაძლებელია სკენაზე ჩანდეს ცეცხლის ალში ვახვეული სასახლის „La Moneda“-ს მკეტი, ხოლო მის გვერდით მსახიობი ხელში ცეცხლმკერი.

ორტენსია ბუსი დე ალიენდეს ტექსტის კითხვისას სასურველია ისმოდეს ჩიღური სიმღერა.

სიტხვა ერთი, სარამ — მორო

(როდის)

სექტაკლში მონაწილე მსახიობები გამოდიან სკენაზე და იმერობენ:

- ჩვენ ვარბობთ
- ჩვენ გვიღდა
- ჩვენ შეგვიღდა
- ჩვენ შევძლებთ

ამ სტიქონების განმეორება შეიძლება გზუფურად, სხვადასხვა რიტმში.

მასურბავალი ბოკებს დარბაზს

მსახიობები მაყურებელს ეთხოვებიან ისე, რომ მათ ტაშის ნებისმიერი ხანგრძლივობის საშუალებას აძლევენ. იმ შემთხვევაში, თუ ტაშისცემა არ შედგა, უმაღ საბოლოო მოქმედებაზე გადადიან, რაც იმაში გამოიხატება, რომ მაყურებელთა დარბაზისაქენ პროექტორებს მიანათებენ. როცა მაყურებელი წამოღდება, დარბაზში გაისმის მუსიკა და სკენაზეა შესაფერისი პლამატი. პროექტორების შუქი და მუსიკა გრძელდება დარბაზს დაცარიელებამდე. მსახიობები დგანან ავანსცენაზე, უქრავენ ტაშს და თვალს ადევნებენ დარბაზის დაცარიელებას. მთ ქვევაში უნდა იგრძნობოდეს თავდაპერილობა.

დასასრული

ესტონურიდან თარგმნა
ამირან კალაძემ.